



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოლხეთის დაბლობი

კოლხეთის დაბლობი, რ ი ო ნ ი ს დ ა ბ ლ ო ბ ი, მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. კოლხეთის ბარის დაბალი ნაწილი. მოიცავს აკუმულაციურ ვაკე-დაბლობსა და მიმდებარე ეროზიულ გორაკ-ბორცვებს. ზ. დ. 200 მ-მდე სიმაღლის სამკუთხედის ფორმის ვაკე-დაბლობია. სიგრძე – 100–110 კმ (ქ-ებს - ქობულეთსა და ოჩამჩირეს შორის). ფუძით ებჯინება შავ ზღვას, ხოლო წვერი ქ. ზესტაფონთან აქვს. ზღვის სანაპიროდან 110 კმ-ზე, ვიწრო ზოლად ვრცელდება აჭარისა და აფხაზეთის არ-ში.

კ. დ. ტექტონ. თვალსაზრისით დაძირვის ზონაა. მისი ზედაპირი წარმოქმნილია უარყოფითი ვერტ. მოძრაობების ფონზე განვითარებული მდინარეული და პროლუვიურ-ჭაობიანი ნალექების აკუმულაციის შედეგად. აგებულია რიყის ქვებით, ქვიშებით, თიხებით, ტორფით, საპროპელური ლამიანი თიხაქვიშებით.

კ. დ-ის ზედაპირი (მისი ღერძული ბოლის გასწვრივ), რ-იც რიონისა და ყვირილის ხეობების ძირის თანხვედრილია, ძირითადად ბრტყელია, უმნიშვნელოდ დანაწევრებული მდინარეთა მცირე სიღრმის კალაპოტებით და შეუმჩნეველად დახრილი შავი ზღვისკენ, ღერძული ბოლიდან ჩრდ.-აღმ. და სამხრ. მიმართულებით კი მალღდება. მისი ზედაპირი შესამჩნევად დანაწევრებული მდინარეების 4–6 მ სიღრმის კალაპოტებით.

კ. დ-ის ზედაპირი ქ. სენაკის მერიდიანის დას-ით თითქმის იდეალურად ბრტყელია და მისი ზღვისპირა ბოლის (მდ. ენგურის შესართავსა და ქობულეთს შორის), ნაწილი დაჭაობებული ტყით, მდელო-ბუჩქნარებით და ღია ტორფიანი ჭაობებით არის დაფარული. ტორფიან ჭაობებში (თიკორი, ჭურია, ნაბადა, იმნათი, მალთაყვა, ისპანი) ტორფის ჰორიზონტების სისქე 4–12 მ საზღვრებში ცვალებადობს, მისი შუა და ქვედა ნაწილები

ზღვის დონეზე დაბლაა დაძირული.

კ. დ-ის ჰავა ზღვიური, ნოტიო სუბტროპიკულია. საშ. წლ. ტემპ-რაა 14–14,4 °C, იანვ. საშ. ტემპ-რა 3,5–,5–6,5 °C-მდეა, აგვ. 23–24 °C; აბსოლ. მაქს. 41–42 °C, აბსოლ. მინ. 8–10 °C-ის საზღვრებში ცვალებადობს. იცის აღმ. და დას. ქარები. დამახასიათებელია ფიონები და ბრიზები, მდ. რიონის ხეობის გასწვრივ იცის ძლიერი ქარი, რ-ის სიჩქარე ბოგჯერ წამში 35–40 მ აღწევს. აჭარის სანაპიროზე წელიწადში 2500 მმ ნალექი მოდის, აღმ-კენ ნალექები მცირდება 1200 მმ-მდე.

კ. დ-ის მთავარი მდინარეა რიონი (შენაკადები – ყვირილა, ხანისწყალი, ცხენისწყალი, ტეხური). მას განეკუთვნება მდინარეების – ენგურის, ხობის, კოდორის, სუფსისა და ნატანების ქვემო დინებები. მდინარეები საზრდობს წვიმის, თოვლის, მიწისქვეშა და მყინვარული წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე.

გავრცელებულია სუბტროპ. ენერი, ალუვიური, ჭაობისა და ტორფიან-ჭაობიანი, ხოლო გორაკ-ბორცვებზე – წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები. დაბლობის ზღვისპირა ნაწილში ჭაობიანი ტყეებია, ჭარბობს მურყანი და ტირიფი. ნაკლებად დაჭაობებულ ადგილებში შემორჩენილია კოლხური ტყე (მუხა, რცხილა, წიფელი, წაბლი, ლაფანი და სხვ.) მარადმწვანე ქვეტყით. ტყეებში ბინადრობს კურდღელი, მელა, მგელი, კვერნა, იშვიათად – შველი. მრავლადაა ადგილობრივი და გადამფრენი ფრინველი (გარეული ბატი, გარეული იხვი, ტყის ქათამი და სხვ.).

კ. დ-ის მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული და შესაბამისად ათვისებულია მეურნეობისათვის, აგრეთვე გამოირჩევა კულტ. ლანდშაფტის უპირატესი განვითარებით.

იხ. აგრეთვე სტ. „კოლხეთის ეროვნული პარკი.“

ლიტ.: მ ა რ უ ა შ ვ ი ლ ი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 2 , თბ., 1969–70; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. 1, თბ., 2000; ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე ზ., საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონა (რეტროსპექტრულ-პროგნოზული ანალიზი), თბ., 2015.

გ. დევდარიანი

ზ. ჯანელიძე
